

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2025 წლის ---- ივლისი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №15 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 20/07/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016550) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

1. მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ წესით დადგენილი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების მიზნებისათვის (გადა 6¹⁶ და 6¹⁷ პუნქტებისა) ავარიულ სახლად მიიჩნევა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში

ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (www.matsne.gov.ge, 05.07.2022, სარეგისტრაციო კოდი: 330090000.05.001.020588) ამოქმედებამდე მიწის ნაკვეთის ერთ ან რამოდენიმე საკადასტრო კოდზე არსებული ერთიანი კონსტრუქციული სქემის მქონე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი („ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული განმარტების შესაბამისად) ან/და მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობა (საცხოვრებელი სახლი, რომელშიც საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ ერთ ჭერქვეშ არსებობს 3 და მეტი დამოუკიდებელი საკუთრების საგანი – რამდენიმე საცხოვრებელი ბინა, საცხოვრებელი ფართი და კომერციული დანიშნულების ფართი ან/და საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ერთ ჭერქვეშ არსებობს 3 და მეტ წილად დაყოფილი საკუთრების საგანი, რომელშიც წილობრივი მონაცემების შესაბამისად აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობით მდებარეობს ბინა ერთეულების მსგავსად დაყოფილი დამოუკიდებელი სახით არსებული 3 და მეტი ფართი, რამოდენიმე საცხოვრებელი ბინა და კომერციული დანიშნულების ფართი), რომელთა ავარიულობის/დაზიანების ხარისხი არის V, IV და III კატეგორია და უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ექვემდებარება დემონტაჟს ან უკვე დემონტირებულია ან/და მისი აღდგენა-გამაგრება არარენტაბელურია.“.

(ამ მუხლის ტექსტიდან ასევე ამოღებული იქნა საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული ბარაკები, ვინაიდან იმ შემთხვევაში თუ ბარაკი დააკმაყოფილებს მრავალბინიანი ავარიული სახლის კრიტერიუმს ისედაც ხვდება პროგრამაში და მხოლოდ იმის გამო რომ ბარაკია ცალკე არ უნდა იყოს გამოყოფილი).

2. მე-4 მუხლის 6² პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6². ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, ამ წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ავარიული სახლების ჩანაცვლებისათვის იმავე ტერიტორიაზე ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების მიზნებისათვის მუნიციპალურ მიზნობრივ პროგრამად და ავარიული სახლის ადგილად მიიჩნევა (რა დროსაც მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენება სავალდებულო არ არის) ავარიულ სახლზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი, ასევე ამ მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთი ან/და ნაკვეთები, რომელთა კვადრატულობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ავარიულ სახლზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის ერთ მეორედს, რომელთა გაერთიანებაც ავარიული სახლის ჩანაცვლების მიზნით პროექტის განხორციელების მიზნისათვის უნდა მოხდეს ავარიულ სახლზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთთან, იმ პირობით თუ მშენებლობის ნებართვის აღებამდე კანონმდებლობით დადგენილი წესით

განხორციელდება ავარიული სახლის დემონტაჟი, ასევე მოხდება ავარიულ სახლში მცხოვრები მესაკუთრეების წინასწარი და სრული დაკმაყოფილება (სანაცვლო ქონების საკუთრებაში გადაცემა ან/და ნასყიდობის საფასურის გადახდა) ან/და მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში შეყვანის უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი იქნება, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ გაცემული უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია (საბანკო გარანტიის ფორმა განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ) ავარიული სახლის ადგილას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი სამართლებრივი აქტით შეთანხმებული მშენებლობის პროექტის სრული საინვესტიციო ღირებულების (დადასტურებული სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ გაცემული დასკვნით) არანაკლებ 20% ოდენობის თანხაზე. იმ შემთხვევაში, თუ დეველოპერი მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადაში ვერ უზრუნველყოფს მშენებლობის დასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას, საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ. ამასთან, დაინტერესებული პირის მიერ აღნიშნული საბანკო გარანტიის ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს იგივე ღირებულების (ავარიული სახლის ადგილას შეთანხმებული მშენებლობის პროექტის სრული საინვესტიციო ღირებულების არანაკლებ 20% ოდენობის) სხვა უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის, მშენებლობა დამთავრებული ობიექტში საცხოვრებელი ბინების ან/და კომერციული ფართების) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთვა (მათ შორის, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის გარეშე გასხვისების აკრძალვის პირობით). ასევე, მშენებლობის ნებართვის მფლობელი დეველოპერი მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში შეყვანის უზრუნველყოფის მიზნით, მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ იპოთეკით ტვირთავს (მათ შორის, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის გარეშე გასხვისების აკრძალვის პირობით) ავარიული სახლის ადგილას მშენებარე ობიექტში თავის საკუთრებაში რეგისტრირებული სასარგებლო ფართების (ბინების) საერთო ჯამის არანაკლებ 10 %-ს.“.

3. მე-4 მუხლს 6¹⁵ პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6¹⁶, 6¹⁷ და 6¹⁸ პუნქტი:

„6¹⁶. ავარიული სახლების ჩანაცვლებისათვის იმავე ტერიტორიაზე ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების მიზნებისათვის, ავარიულ სახლად მიიჩნევა და განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, გამწვანების რეგულაციების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული პირობებით დამტკიცება, ავტოსადგომების რაოდენობასთან დაკავშირებული რეგულაციების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული პირობებით დამტკიცება დასაშვებია 6¹⁷ პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ხორციელდება „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (www.matsne.gov.ge, 05.07.2022, სარეგისტრაციო კოდი: 330090000.05.001.020588) ამოქმედებამდე მიწის ნაკვეთის ერთ ან რამოდენიმე საკადასტრო კოდზე არსებული ერთიანი კონსტრუქციული სქემის მქონე ისეთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ან/და მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობის ათვისება, რომელშიც საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ ერთ ჭერქვეშ არსებობს 10 და მეტი დამოუკიდებელი საკუთრების საგანი – რამდენიმე საცხოვრებელი ბინა, საცხოვრებელი ფართი და კომერციული დანიშნულების ფართი ან/და რომელშიც ერთ ჭერქვეშ არსებობს 10 და მეტ წილად დაყოფილი საკუთრების საგანი, რომელშიც წილობრივი მონაცემების შესაბამისად აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობით მდებარეობს ბინა ერთეულების მსგავსად დაყოფილი დამოუკიდებელი სახით არსებული 10 და მეტი ფართი, რამოდენიმე საცხოვრებელი ბინა და კომერციული დანიშნულების ფართი, რომელთა ავარიულობის/დაზიანების ხარისხი არის V, IV და III კატეგორია და უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ექვემდებარება დემონტაჟს ან უკვე დემონტირებულია ან/და მისი აღდგენა-გამაგრება არარენტაბელურია).

6¹⁷. ამ წესის მე-6¹⁶ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება შესაძლებელია განხორციელდეს განსაკუთრებული დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში არაუმეტეს 0,1 კოეფიციენტით, ასევე გამწვანების რეგულაციების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული პირობებით დამტკიცება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ განსაკუთრებული დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, სულ მცირე 0.2 გამწვანების კოეფიციენტის დაცვის პირობით, ამასთან, ავტოსადგომების რაოდენობასთან დაკავშირებული რეგულაციების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული პირობებით

დამტკიცება შესაძლებელია განხორციელდეს განსაკუთრებული დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, სულ მცირე კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობის 50%-ს დაცვის პირობით.

6¹⁸. ამ წესის მე-6¹⁶ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოიყენება მე-6, მე-6¹ - მე-6⁵, მე-6⁷, მე-6⁸, მე-6¹¹ - მე-6¹⁵ პუნქტების მოთხოვნები.

4. მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხის დამადასტურებელი დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ ამ შენობა-ნაგებობის ავარიულობის/დაზიანების ხარისხი არის III, IV ან V კატეგორიის. ამასთან, ეს დასკვნა გაცემული უნდა იქნას სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ;“.

5. მე-4 მუხლის მე-7 პუნქტს „ე“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე¹“ და „ე²“ ქვეპუნქტები:

„ე¹) მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევის დოკუმენტი, გაცემული აკრედიტირებული ისპექტირების ორგანოს მიერ, ასევე სატრასპორტო მოძრაობის ორგანიზების და პარკირების სქემა;

ე²) პროექტის განხორციელების დეტალური ფინანსური-ეკონომიკური დაანგარიშება, მესაკუთრის ნოტარიული თანხმობის დოკუმენტი (დეველოპერის მიერ ავარიულ საცხოვრებელ სახლში საკუთრების ათვისების სანაცვლოდ ნაკისრი ვალდებულებების ჩვენებით), მესაკუთრეებთან გაფორმებული ნოტარიული ან/და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ხელშეკრულებები, ავარიული სახლის ადგილას ახალი ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში შეყვანისათვის საჭირო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სხვა საჭირო დოკუმენტების დართვით;“.

მუხლი 2

ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება ამ დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი თავდგირიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №15 დადგენილება არეგულირებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული შენობების ლიკვიდაციის და მათ ნაცვლად თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კომპლექსებით ჩანაცვლების, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების და კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების ხელშეწყობის, ასევე განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ან/და მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების პირობებს, ასევე ამ მიზნით შექმნილი სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესს. წესის შესაბამისად, წარმოდგენილი განცხადებებების განხილვის ეტაპზე გამოკვეთილი იქნა რამდენიმე პრობლემატური საკითხი, რაც საჭიროებს სამართლებრივ დაკონკრეტებას, წარმოსადგენი დოკუმენტთა ნუსხის დაზუსტებას. ასევე, ზუსტდება ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების წინაპირობები.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით წესში შენობა-ნაგებობის მდგომარეობასთან დაკავშირებული განსაზღვრება „ავარიულობის ხარისხი“ იცვლება „ავარიულობის/დაზიანების ხარისხი“-თ, ვინაიდან, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ გაცემულ დასკვნაში უპირატესად გამოიყენება ტერმინი „დაზიანების ხარისხი“. პროექტის მიხედვით წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის ტექსტიდან ამოღებული იქნა საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული ბარაკები, ვინაიდან იმ შემთხვევაში თუ ბარაკი დააკმაყოფილებს მრავალბინიანი ავარიული სახლის კრიტერიუმს ისედაც ხვდება პროგრამაში და მხოლოდ იმის გამო რომ ბარაკია, მიზანშეწონილია ცალკე არ იყოს გამოყოფილი, ასევე, მე-4 მუხლის 6² პუნქტის ცვლილების თანახმად, საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულების ნაცვლად შესაძლებელია იგივე ღირებულების (ავარიული სახლის ადგილას შეთანხმებული მშენებლობის პროექტის სრული საინვესტიციო ღირებულების არანაკლებ 20% ოდენობის) სხვა უძრავი ქონების (არა მშენებარე ობიექტში) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთვა (მათ შორის, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის გარეშე გასხვისების აკრძალვის პირობით). გარდა ზემოაღნიშნულისა, ცვლილების მიხედვით დადგენილებას ემატება 6¹⁶ და 6¹⁷ პუნქტები, რომლებიც ამავე პუნქტებში მითითებული ხელშემწყობი ღონისძიებების - განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლების გადამეტების, გამწვანების რეგულაციების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული პირობებით დამტკიცების, ავტოსადგომების რაოდენობასთან დაკავშირებული რეგულაციების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული პირობებით დამტკიცების დასაშვებობას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ, ავარიული საცხოვრებელი სახლი შედგება 10 და მეტი დამოუკიდებელი საკუთრების საგნისაგან. ცვლილების მიხედვით აგრეთვე დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია: მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევის დოკუმენტი, გაცემული აკრედიტირებული ისპექტირების ორგანოს მიერ, ასევე სატრასპორტო მოძრაობის ორგანიზების და პარკირების სქემა; პროექტის განხორციელების დეტალური ფინანსური-ეკონომიკური დაანგარიშება, მესაკუთრის ნოტარიული თანხმობის დოკუმენტი (დეველოპერის მიერ ავარიულ საცხოვრებელ სახლში საკუთრების ათვისების სანაცვლოდ ნაკისრი ვალდებულებების ჩვენებით), მესაკუთრეებთან გაფორმებული ნოტარიული ან/და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ხელშეკრულებები, ავარიული სახლის ადგილას ახალი ობიექტის მშენებლობისა და

ექსპლუატაციაში შეყვანისათვის საჭირო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სხვა საჭირო დოკუმენტების დართვით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

მერიის ქალაქგანვითარებისა და

ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი

გიორგი წანაწყენიშვილი